ორი “დინამოს” მატჩი

გუშინ, 6 ივლისს, მოსკოვის “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის პირველ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” გუნდები.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ. მატჩის მეორე ნახევარი კვლავ მოსკოველთა იერიშებით დაიწყო და მე-12 წუთზე მათ მესამე ბურთი მოათავსეს თბილისელთა კარის ბადეში. ამის შემდეგ ერთი წუთიც არ გასულა, რომ ბ. პაიჭაძეს მოსკოველები უხეშად მოექცნენ თავიანთ საჯარიმო მოედანზე. 11-მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმა ა. ღოღობერიძემ უნაკლოდ გამოიყენა და პირველი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. მოსკოველებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. თბილისელი თავდამსხმელები გააფთრებით ეკვეთნენ მოსკოველთა კარს. მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება საერთოდ ასეთ ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრაში _ ხუთიოდე წუთის განმავლობაში თბილისელებმა ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს მოსკოველთა კარში და ანგარიში გაათანაბრეს. მაგრამ თბილისელ მცველთა უტაქტო მოქმედება მოსკოველებს საშუალებას აძლევს კვლავ მიაღწიონ წარმატებას. მატჩის უკანასკნელი 12 წუთის განმავლობაში თბილისელები მედგრად უტევენ მოსკოველთა კარს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ახერხებენ მოპოვებული უპირატესობის მატჩის ბოლომდე შენარჩუნებას.

საინტერესო და დაძაბული მატჩი მოსკოვის და თბილისის “დინამოს” გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 5:4.

მორიგ მატჩს თბილისის “დინამო” ჩაატარებს 10 ივლისს მოსკოვში, ადგილობრივ “ტორპედოს” გუნდთან.

“კომუნისტი”, 7 ივლისი 1950 წ.